

## ხშირად დასმული კითხვები

### საკითხები:

- პროექტის რეგისტრაცია
- პროექტში მონაწილე სუბიექტები
- ბიუჯეტი
- პროექტების შეფასება
- გრანტის მიმღების ვალდებულებები

## პროექტის რეგისტრაცია

1. სავალდებულოა თუ არა, პროექტის ყველა მონაწილის დარეგისტრირება GMUS-ში?  
პასუხი: დიახ, GMUS-ში ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიაროს პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულმა ყველა მონაწილემ.
2. GMUS-ში მხოლოდ წამყვანი ორგანიზაცია უნდა დარეგისტრირდეს?  
პასუხი: პროექტში წამყვანი ორგანიზაციის გარდა აუცილებელია, რომ GMUS-ში დარეგისტრირდეს თანამონაწილე ორგანიზაციაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. აუცილებელია თუ არა, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემული რუსული დიპლომის თარგმნა?  
პასუხი: საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.
4. როგორ უნდა წარმოვადგინოთ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“?  
პასუხი: „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ გენერირდება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის შემდეგ. გენერირებული განცხადება უნდა წარმოადგინოთ ფონდის კანცელარიაში შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით.
5. საპროექტო წინადადება იტვირთება თუ GMUS-ში ივსება?  
პასუხი: საპროექტო წინადადება იტვირთება PDF დოკუმენტის სახით.

6. ვინ არეგისტრირებს პროექტს GMUS-ში?

პასუხი: პროექტის GMUS-ში რეგისტრაციაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი, თუმცა შესაძლებელია მას ასისტენტობა გაუწიოს კოორდინატორმა ან თანახელმძღვანელმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## პროექტში მონაწილე სუბიექტები

7. რა სამეცნიერო ხარისხს უნდა ფლობდეს პროექტის ხელმძღვანელი ?

პასუხი: პროექტის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.

8. რა სამეცნიერო ხარისხს უნდა ფლობდეს პროექტის კოორდინატორი?

პასუხი: პროექტის კოორდინატორი უნდა იყოს უმაღლესი განათლების მქონე პირი (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი).

9. თუ ხელმძღვანელი ვარ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში მყოფ პროექტში (ან კოორდინატორი), შემიძლია აქაც ვიყო პროექტის ხელმძღვანელი (ან კოორდინატორი)?

პასუხი: დიახ.

10. შეიძლება თუ არა, კონკურსზე წარმოდგენილ პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართულ პირებმა მონაწილეობა მიიღონ სხვა კონკურსებში, მაგალითად ფუნდამენტურ კვლევების საგრანტო კონკურსში?

პასუხი: დიახ, შესაძლოა პროექტში ჩართულმა ძირითადმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღოს სხვა კონკურსებში.

## ბიუჯეტი

11. 70 000 ლარი საქართველოში წარმოებული კვლევისათვის და 100 000 ლარი საზღვარგარეთ წარმოებული კვლევისათვის პროექტის ჯამური ბიუჯეტია თუ წლიური?

პასუხი: ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 100 000 ლარს საზღვარგარეთ განხორციელებული კვლევითი პროექტისათვის და 70 000 ლარს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული კვლევითი პროექტისათვის.

12. თანამონაწილე ორგანიზაცია არის თუ არა გრანტის მიმღები? პასუხი:

თანამონაწილე ორგანიზაცია შეიძლება იყოს გრანტის მიმღები. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამონაწილე ორგანიზაცია არის საზღვარგარეთ რეგისტრირებული საჯარო და/ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, მისი ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს უცხოური თანადაფინანსებიდან.

13. შემიძლია თუ არა, 70 000 ან 100 000 ლარზე ნაკლები მოვითხოვო?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

14. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებაზე არის თუ არა ლიმიტები?

პასუხი: ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებაზე შეზღუდვები (ლიმიტები) არ არსებობს.

15. აუცილებელია თუ არა, მივლინების ხარჯის დეტალური აღწერა?

პასუხი: საგრანტო პროექტის ბიუჯეტში მივლინების ხარჯების დეტალური აღწერა არ ხდება, ხოლო დასაბუთების ნაწილში თქვენი სურვილის შესაბამისად უნდა მოხდეს აღწერის ჩამოყალიბება, ეს იქნება დეტალური თუ ზოგადი, რადგანაც აღნიშნული დასაბუთების შეფასება ხდება კომისიის მიერ.

16. წიგნის/კატალოგის ბეჭდვის ხარჯები ბიუჯეტის რომელი მუხლიდან ფინანსდება?

პასუხი: სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაციის (დანართი №11) მიხედვით, ბეჭდვის ხარჯები მიეკუთვნება "4. საქონელი და მომსახურების" ხარჯვით კატეგორიას კერძოდ, ქვემუხლი - "4.1 ოფისის ხარჯები", ქვეპუნქტი - "ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შემენისა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი".

17. ბიუჯეტის რომელი მუხლიდან ფინანსდება მყარი მესხიერების დისკები და ფლეშები?

პასუხი: "მყარი მესხიერების დისკები და ასევე ფლეშები" > საქონელი და მომსახურების" მუხლი > "4.1 ოფისის ხარჯები" > "მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი" > "კომპიუტერული ტექნიკა".

18. შეიძლება თარჯიმანთა მომსახურების შესყიდვა ტენდერით? თუ კი, მუხლით უნდა მოხდეს?

პასუხი: საგრანტო პროექტის ფარგლებში შესყიდვის პროცედურებზე და მათი განხორციელების გზებზე პასუხისმგებელია გრანტის მიმღები წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაცია საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობის გათვალისწინებით. რაც შეეხება თარჯიმნის მომსახურებას, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაციის (დანართი №11) მიხედვით მოცემული ხარჯი მიეკუთვნება "4. საქონელი და მომსახურების" მუხლს > "4.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" > "საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯებს".

## პროექტების შეფასება

19. როგორ ფასდება პროექტები?

პასუხი: პროექტებს აფასებს კომისია, რომლის მუშაობის წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

## გრანტის მიმღების ვალდებულებები

20. გრანტის მიმღებს რა ვალდებულებები ეკისრება?

პასუხი: გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგები მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის სახით გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში. ასევე გრანტის მიმღები ვალდებულია, შექმნას და ადმინისტრირება გაუწიოს პროექტის ვებგვერდს (webpage) სადაც ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია პროექტში ჩართული მეცნიერების, მათი კვლევებისა და პროექტის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის შესახებ.